საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №41/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- --, -- -- და -- -- 2019 წლის 6 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 13 მაისის №41/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- სოციალურ ქსელ ფეისბუკსა და მედია საშუალებებში გაკეთებული განცხადებების მეშვეობით უხეშად დაარღვია სამოსამართლო ეთიკური ნორმები. მან შეურაცხყოფა მიაყენა საჩივრის ავტორებს, შებღალა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და ზიანი მიაყენა სასამართლოსადმი ნდობას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

წარმოდგენილ დისციპლინურ საჩივარში მითითებული საკითხების საფუძვლიანი და სრულყოფილი შესწავლის მიზნით განხორციელდა შესაბამისი მასალის, კერძოდ, ტელეკომპანია -- -- საინფორმაციო გადაცემის და ფეისბუქის პოსტების ანალიზი.

• -- წლის -- პოსტი: მორიგ თავდასხმას სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ახდენს -- --! ამჯერად მასთან ერთად ნიღაბჩამოხსნილი -- --, -- --, -- -- და მათი რამოდენიმე თანამოაზრე.

• -- წლის -- პოსტი: „აი ეს არის პოლიტიკოსი -- -- ნამდვილი სახე, რომელიც მან ბოლო დღეებში ვეღარ დამალა და ჩამოიხსნა ნიღაბი... აი ეს არის მისი ნამდვილი სურვილები და განზრახვა, რასაც ადრე ფუთავდა და მალავდა... არაკეთილსინდისიერი და იაფფასიანი პოლიტიკოსები ვეღერ უძლებენ ცდუნებას - -- --! კვლავ მახსენდება - „ვაი თქვენდა, ფარისეველნო, ორგულნო... გველნო, ნაშობნო იქედნეთანო!!!“ ალბათ თქვენც გახსოვთ ვინ და როდის ყვიროდა ამას...

• -- წლის -- პოსტი: „მშვენიერია, რომ -- -- და -- -- როგორც იქნა გაახსენდათ, რომ არსებობს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და საქართველოს კონსტიტუცია! ეს უკვე პროგრესია! დავრწმუნდი, რომ უშედეგოდ არ დამიხარჯია ჩემი დრო და უშედეგოდ არ გამიკეთებია ბოლო დღეებში განცხადებები!

თუმცა, გაუგებარია რატომ გაახსენდა -- -- ის რეკომენდაციები, რომელიც ამ თემას საერთოდ არ ეხება!? რატომ ჯიუტად არ ახსენდება ის რეკომენდაციები, რომლებზეც ვსაუბრობ? ანუ რატომ არ ახსენდება ვენეციის კომისიის ის რეკომენდაციები, რომელიც უშუალოდ -- -- ეხება? რასთან გვაქვს საქმე? რატომ გაურბის ამ რეკომენდაციებს? რატომ არ უნდა, რომ საზოგადოებამ სიმართლე გაიგოს? პასუხი კვლავ მარტივია - სიმართლე არ აწყობს! სიმართლე არ ემთხვევა მის ვიწროპოლიტიკურ ინტერესებს!

კარგია, რომ -- -- და -- -- გაახსენდათ სიტყვა „პატივცემული“ და „უპატივცემულობა“! მათ ვურჩევ ხშირად გაიხსენონ ეს სიტყვები, როდესაც ჭორის დონეზე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეურაცხყოფილად საუბრობენ -- --. -- --, მე ჩემი წარსულით ვამაყოფ!!! მათ შორის -- --, რაზედაც მესმის, რომ თქვენ ორაზროვან მინიშნებას სრულიად უსაფუძვლოდ აკეთებთ!!!“

• -- წლის -- პოსტი: -- --

• -- წლის -- პოსტი: -- --

• -- წლის -- პოსტი: -- --

• -- წლის -- პოსტი: -- --

• -- წლის -- პოსტი ფეისბუკ გვერდზე, -- -- მიმართ: „მგონი ეხლა მაინც დარწმუნდა საზოგადოება ვინა არის კომიკური და კომპლექსიანი... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“.

• -- წლის -- პოსტი: „დღეს კიდევ ერთხელ უცხოელი პარტნიორებისაგან გავიგეთ სიმართლე -- --! მადლობა მათ ობიექტურობისათვის! ეს იმ უნამუსო, უზნეო და მატყუარა -- წარმომადგენლების, არაკომპეტენტური და არაკეთილსინდისიერი -- -- და -- --, ასევე, -- არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსების გასაგონად, რომელთაც თითქოსდა ამოძრავებთ -- --„გაჯანსაღების“ მოტივი, არადა სახეზეა ცუდად შეფუთული, რეალურად მეტად შემაშფოთებელი მცდელობა - -- --! დააკომპლექტონ -- მათდამი ლოიალურად განწყობილი და მორჩილი კადრებით! თავისი მიზნების მისაღწევად მზად არიან დაანგრიონ დამოუკიდებელი, არაკორუმპირებული, კომპეტენტური სასამართლო სისტემა, რომელიც სასამართლო დამოუკიდებლობის, სასამართლო პროცესის ხარისხისა და სხვა კრიტერიუმებით ევროპის საუკეთესო ოცეულის მე-18 ადგილზეა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში - პირველ ადგილზეა!!! მეგობრებო ეს მავნებლობაა!!!!!!!!!!!“.

• -- წლის --, ტელეკომპანია -- გადაცემაში -- -- მიერ გაკეთებული განცხადება: „-- -- სურს გავლენა მოიპოვოს სასამართლოზე, რასაც ვერ მიაღწევს. მაგას ვპირდები -- --. -- -- სამწუხაროა, რომ 7 წლის თავზე გაიღვიძა. -- --, ისევე როგორც სხვა პოლიტიკოსებმა, ალბათ ვერ გაუძლო იმ ცდუნებას, რასაც ჰქვია -- --... ნონსენსია ეს“.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 13 მაისის დასკვნა:

-- --, -- -- და -- -- 2019 წლის 6 მარტის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, -- წლის -- და -- წლის --გაკეთებული პოსტების/კომენტარების ნაწილში, შესაძლოა შეიცავდეს, მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორების მიერ დასახელებული საკითხები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).“

გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ შემთხვევაში დისციპლინური სამართალწარმოება დაწყებულია მოსამართლე -- -- მიმართ, რომელიც ამავდროულად არის -- --, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ზოგადად -- -- როლზე და მის უფლებამოსილება/ვალდებულებებზე, ევროპის საკონსულტაციო საბჭოს სტანდარტების მიხედვით.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო დასკვნაში №7 აღნიშნავს, რომ (55-ე პუნქტი), როდესაც მედია (ან პოლიტიკოსები და მესამე მხარეები მედიის მეშვეობით) მოსამართლეს ან სასამართლოს აკრიტიკებს მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მიზეზებით, მოსამართლემ, თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, თავი უნდა შეიკავოს იგივე არხების გამოყენებით საპასუხო გამოსვლისგან. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოებს უფლება აქვთ შესწორებები შეიტანონ პრესაში ასახულ მცდარ ინფორმაციაში, CCJE-ს რწმენით მიზანშეწონილია, რომ სასამართლოს ამ მხრივ მხარი დაუჭირონ სხვა ეროვნულმა სტრუქტურებმა, ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებმა (მაგ. მოსამართლეთა საბჭო, ან მოსამართლეთა ასოციაცია) და დროული და ეფექტური რეაგირება მოახდინონ ასეთ კრიტიკასა და თავდასხმებზე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №10 დასკვნის თანახმად, რომელიც შეეხება მართლმსაჯულების საბჭოს როლსა და ფუნქციებს: (8) მართლმსაჯულების საბჭოს მიზანია დაიცვას სასამართლო სისტემისა და ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოების არსებობა არის სტრუქტურული მოთხოვნა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ხელმძღვანელობს კანონის უზენაესობით. (82) CCJE მიიჩნევს, რომ, როდესაც მედია ან მედიის გამოყენებით პოლიტიკური ან სოციალური ფიგურები გამოწვევის წინაშე აყენებენ ან ახორციელებენ შეტევას მოსამართლეებსა ან სასამართლოებზე და იმის გათვალისწინებით, რომ ჩაბმულმა მოსამართლემ ან სასამართლომ თავი უნდა შეიკავონ იგივე არხებით რეაქციის გამომჟღავნებისგან, მართლმსაჯულების საბჭოს ან სასამართლო ორგანოს უნდა შეეძლოს და იყოს მზად, რომ სათანადო შემთხვევებში სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს ასეთ გამოწვევებსა და

შეტევებს. (83) მართლმსაჯულების საბჭოს უნდა ჰქონდეს უფლება არა მხოლოდ გაავრცელოს მისი შეხედულებები საჯაროდ, არამედ აგრეთვე გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი საზოგადოების, პოლიტიკური ორგანოებისა და, სადაც სათანადოა, საზოგადოების წინაშე დაიცვას სასამართლო ინსტიტუციის ან/და მისი წევრების რეპუტაცია.

რაც შეეხება უშუალოდ სამოსამართლო ეთიკის წესებს, „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ მე-4 მუხლის თანახმად, „მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად“. ამავე წესების მე-15 მუხლის თანახმად ,,მოსამართლემ აზრის გამოთქმის უფლებით სარგებლობისას არ უნდა შელახოს მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“ ამდენად, სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას თითოეული მოსამართლე მოქმედებს, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების სახელით.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-20 მუხლის თანახმად, „მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია.“

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 4.1 პუნქტის თანახმად, „მოსამართლემ თავიდან უნდა აიცილოს უწესობა ან უწესობის გამოჩენა მოსამართლის ყოველგვარ საქმიანობაში. ვინაიდან მოსამართლე იმყოფება საზოგადოების მუდმივი დაკვირვების ქვეშ, მან უნდა აიტანოს ყველა ის პერსონალური შეზღუდვა, რომელიც შესაძლებელია ჩვეულებრივი მოქალაქეს ძნელად მოეჩვენოს და ეს უნდა გააკეთოს თავისუფლად და ნებაყოფლობით. განსაკუთრებით, მოსამართლის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს სამოსამართლო თანამდებობის ღირსებას.“

ამასთან, მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის (სტრასბურგი, 8-10 ივლისი, 1998 წელი) 4.3. მუხლის თანახმად, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ქცევისა და მოქმედებისგან ან გამოვლინებისგან, რამაც შეიძლება რეალურად შეარყიოს რწმენა მისი მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი.[1]

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზის შედეგად ნათელია, რომ მოსამართლის თითოეული ქმედება შეზღუდულია ეთიკის ნორმებით, თუმცა ამავდროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები ევროპის საკონსულტაციო საბჭოს სტანდარტების შესაბამისად (დასკვნა №10; პარაგრაფი 83), ვალდებულნი არიან დაიცვან, როგორც თითოეული მოსამართლის, ისე ზოგადად სასამართლო ინსტიტუციის და მისი წევრების რეპუტაცია.

შესაძლოა ითქვას, რომ მოსამართლის მიერ გამოთქმული ფრაზები, რომელიც ფაქტობრივ გარემოებებში დეტალურად არის მოყვანილი, არ სცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და შეიძლება შეფასდეს, როგორც განცხადება, რომელიც მიმართულია სასამართლო სისტემის დაცვისკენ.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა: „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება

[1] ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ოფიციალური კომენტარები. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2015, გვ. 140 (134)

და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებლია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ №ას-1304-1242-2014, 27 მაისი, 2015 წელი; სუსგ №ას-103-98-2014, 28 ივლისი, 2016 წელი, სუსგ Nას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.);“ ლინგენსის საქმეშიც გაესვა ხაზი ფაქტისა და ღირებული მოსაზრებების გამიჯვნის სიფრთხილეს და აღინიშნა, რომ „ფაქტის არსებობის დემონსტრირება შეიძლება, ხოლო ღირებული მოსაზრებების დამტკიცება არ ხერხდება“ (იხ., LINGENCE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 08 ივლისი, 1986 წელი, განაცხადის N9815/82, პარ: 46) შესაბამისად, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მათი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი კომპონენტებს მოიცავს, რა მიზნით იქნა გასაჯაროვებული ისინი.

მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები მიმართული იყოს, როგორც თითოეული მოსამართლის, ისე ზოგადად სასამართლო ინსტიტუციის და მისი წევრების რეპუტაციის დაცვისკენ. მოსამართლე კონკრეტული პოზიციის დაფიქსირებისა და აზრის გამოხატვისას, უნდა ექცეოდეს იმ მანდატის ფარგლებში, რომელიც მას, როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს მიენიჭა იმისათის, რომ დაეცვა როგორც თითოეული მოსამართლის, ასევე სასამართლო სისტემის ავტორიტეტი.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 6 წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები, 7 წევრმა მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისათვის საკმარის საფუძველს და მხარი დაუჭირა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას, ხოლო 1 წევრმა არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (მინიმუმ 10 წევრი) დაუჭერს მხარს, ხოლო ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებასა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ 6 წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №41/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი